



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს მ ე რ ი ა



წერილის ნომერი: 30-302201733

თარიღი: 17/01/2022

პინი: 4170

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს სა კ რ ე ბ უ ლ ო ს
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ს ბ ა ტ ო ნ ბ ე ს ი კ ტ ა ბ ი ძ ე ს

ბ ა ტ ო ნ ო ბ ე ს ი კ ,

გ თ ხ ო ვ თ , მ ო ი წ ვ ი ო თ რ ი გ გ ა რ ე მ ე სა კ რ ე ბ უ ლ ო ს ს ხ დ ო მ ა შ ე მ დ ე გ ი დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი თ :

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

ასევე, დამატებით წარმოდგენთ შესწორებულ განკარგულების პროექტს და გთხოვთ იმსჯელებთ მხოლოდ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის ფარგლებში.

პ ა ტ ი ვ ი ს ც ე მ ი თ ,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიცირი ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2022 წლის იანვარი

ქ. ლანჩხუთი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ განკარგულება

„საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის # 628 დადგენილების და „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე:

1.,„საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის #628 დადგენილებისა და „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების ფარგლებში, 2022 წელს განისაზღვროს დანართების შესაბამისად კონკურსზე წარსადგენი პროექტები:

ა) სოფელ ორაგვეში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ადგილობრივი ბიზნესისა და ტურიზმის განვითარებისთვის. (გადმოსახედი, ზიპლაინის, საფეხმავლო და ველოსპორტის ბილიკების, გამოქვაბულის მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა);

ბ) მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ეგ. ნინოშვილის სახლ მუზეუმში და გრიგოლეთში;

გ) ეგნატე ნინოშვილის სახელობის მუზეუმში საგამოფენო დარბაზის მშენებლობა.

2. ნება დაერთოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტები წარადგინოს კონკურსზე „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და

კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების შესაბამისად.

3. დაევალოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტებისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულებით გათვალისწინებული თანხების განკარგვა განხორციელდეს „2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

5. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

N	დასახელება	სავარაუდო ღირებულება
1	სოფელ ორაგვეში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ადგილობრივი ბიზნესისა და ტურიზმის განვითარებისთვის. (გადმოსახედი, ზიპლაინის, საფეხმავლო და ველოსპორტის ბილიკების, გამოქვაბულისა მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა)	1500000
2	ეგნატე ნინოშვილის სახელობის მუზეუმში საგამოფენო დარბაზის მშენებლობა	150000
3	მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ეგ. ნინოშვილის სახლ მუზეუმში და გრიგოლეთში	150000
	სულ	1800000